

საქართველოს კანონი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3 1998 წელი, მუხ. 30) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ტერიტორიული სამსახურებისა და საქართველოს საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, რომელთაც შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, განახორციელონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია;“;

2. მე-5 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 5. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის საბუთების წარდგენის წესი“.

3. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. საქართველოში სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისთვის საბუთები წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე ნათარგმნი, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლების სახით. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს უცხოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.“.

4. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. მომსახურების საფასური სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის გადაიხდება მომსახურების საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება კანონით.“.

5. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემა

ამ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს სააგენტო ახორციელებს თავისი ტერიტორიული სამსახურების და საქართველოს საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით.“

6. მე-8 მუხლის 2¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების და საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობების ბლანკებით, სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბლანკებით, აგრეთვე საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული სხვა ბლანკებით უზრუნველყოფა;“.

7. მე-11 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. საქართველოს საკონსულო დაწესებულება“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უცხო სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს შესაბამისი საკონსულო დაწესებულების მეშვეობით.“.

8. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სამოქალაქო აქტების ჩანაწერებისა და რეგისტრაციის მოწმობების ბლანკების დამზადებას უზრუნველყოფს სააგენტო. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები და საქართველოს საკონსულო დაწესებულებები აღნიშნული ბლანკებით მარაგდებიან მოთხოვნის შესაბამისად.“.

9. 123-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ სააგენტოსაგან მიღებული სამოქალაქო აქტების ჩანაწერებისა და რეგისტრაციის მოწმობების ბლანკების შენახვისა და აღრიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი